საბა

საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N11 (335) I 2023

„შემიწყალე, ღმერთო,
შენი წყალობისამებრ,
შენი მრავალი
შემბრალებლობისამებრ
წაშალე ჩემი დანაშაული“.

ფსალმ. 50, 3

30 ნელი
სამოციქულო
ადმინისტრაცია

რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

პაპის სამოციქულო ეპისტოლე..... 7

ჩვენი ეკლესია..... 8-9

ინტერვიუ..... 10-11-12

ჩანართი.....I-IV

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი..... 13-14

სოციალური გვერდი 15

სოციალური გვერდი Iner Georgia 16

კათოლიკური კულინარია 17

ახალი წიგნები..... 18

ინფორმაცია..... 19

ჟურნალ „საბას“ №10 (334) მე-5 გვერდზე სტატიაში „რა უთხრა პაპმა რუსეთის ახალგაზრდა კათოლიკეებს?“ შეცდომითაა დაბეჭდილი ფრაზა: „მას შემდეგ, რაც უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო...“ უნდა იყოს: „მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომი დაიწყო...“, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით ჟურნალ „საბას“ მკაფიო პოზიცია აქვს, კათოლიკე ეკლესიის სწავლების შესაბამისად.

„ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს, ვლოცულობ მათი სულებისთვის და ყველასთვის, ვინც განიცდის ტანჯვას ამ მძიმე ჟამს. შეწყვიტეთ ტერაქტი და დაყარეთ იარაღი, ვინაიდან ნებისმიერი ომი განწირულია წაგებისათვის“.
პაპი ფრანცისკე

ნოემბერი

1 ნოემბერი - ყველაწმიდას დიდდღესასწაული

2 ნოემბერი - ყველა მორწმუნე მიცვალებულის მოხსენიება

3 ნოემბერი - გახსენება საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილი კათოლიკე სასულიერო პირისა: მ. სერაფიმ მერაბიშვილი (+1940), მ. შიო ბათმანიშვილი (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილი (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭიშვილი (+1937), მ. კონსტანტინე შეშაბერიძე

8 ნოემბერი - საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ყველა წმიდანი

9 ნოემბერი - ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დღესასწაული

17 ნოემბერი - წმ. ელისაბედ უნგრელი, წმ. ელისაბედის დების მფარველი

19 ნოემბერი - რიგითი XXXIII კვირადღე, უპოვართა მსოფლიო დღე

23 ნოემბერი - წმ. გიორგის დღესასწაული, უდეში „პირდაპირების“ საკრებულოს დღეობა

26 ნოემბერი - ქრისტე - სამყაროს მეფე, ახალშენის საკრებულოს დღეობა, ლიტურგიული წლის ბოლო კვირა

30 ნოემბერი - წმ. ანდრია მოციქული, ბეთლემის (ახალხიზა) საკრებულოს დღეობა

საჭიროა, რომ...

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში; ქუთაისის, გათუმისა და ოზურგეთის საკრებულოთა წინამძღვარი



გაეროს 78-ე პლენარულ ასამბლეაზე (ა.წ. 18-22 სექტემბერი) გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ ,,კლიმატის ცვლილება დაიწყო“ და ,,ახალი ბირთვული შეიარაღების კურსი სუფთა სიგიჟეა“. მარსელში თავისი ბოლო ვიზიტისას (ა.წ. 22-23 სექტემბერი), რომის პაპმა ფრანცისკემ შემდეგი განაცხადა: „კმარა სიცოცხლის მიმართ გულგრილობა“. *,,სიცოცხლით ვერ ითამაშებ, ვერც დასაწყისს და ვერც დასასრულს“*. წელს, ზაფხულის დასაწყისში (11 ივნისი), ნობელის პრემიის ოცდაათმა ლაურეატმა ხელი მოაწერა დეკლარაციას მიმდინარე შეიარაღების შეჩერების შესახებ.

სამმა არასახელისუფლო ორგანომ ამა სოფლის ძლიერებს მიმართულების შესაცვლელად მიმართა. სიტყვებს, რომელიც არავინ შეისმინა, აქტუალურობა მაინც არ დაუკარგავს, თუკი დავფიქრდებით უკრაინაში წარმოებულ საომარ კონფლიქტზე, რომელიც ოცი თვეა მიმდინარეობს, სადაც ,,ხერსონის რეგიონში რუსი ჯარისკაცები აუპატიურებენ და სექსუალურ ძალადობას სჩადიან 19-დან 83 წლამდე ასაკის ქალებზე“. დიახ, არიან ისეთებიც, რომლებიც ხმამაღლა საუბრობენ, ამხელენ ავტორიტეტულად; მაგრამ რა ძალაუფლებას ფლობენ ისინი რეალურად?

ძალაუფლების მქონეთა და ძალაუფლების აღმსრულებელთა ურთიერთობის თემა უძველესია. ლათინურ სამყაროში საუბრობდნენ autoretas-სა და potestas-ს (ავტორიტეტსა და ძალაუფლებას) შორის ურთიერთობაზე. მაგრამ ვინ ფლობს რეალურად ძალაუფლებას დღეს მსოფლიოში, სადაც, მაგალითად, ტერიტორიული სუვერენიტეტის

იდეა აწყდება ახალ პირობებს, რომლებიც შეიქმნა ათწლეულების განმავლობაში გლობალიზაციის შედეგად? რა სირთულეები იჩენს თავს ამ მხრივ? ცალკეული სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად აწყდებიან ისეთ მოვლენებს, რაც მათ საზღვრებს სცილდება. გავიხსენოთ თუნდაც კლიმატის დათბობა, დიდი მიგრაციები, ნედლეულის მიწოდება, ტექნოლოგიური ინოვაციები, კონფლიქტები. ეს აშკარად ქმნის ინსტიტუციურ დისბალანსს ადგილობრივ დონეზე. ამ პრობლემების გადასაჭრელად **საჭიროა, რომ** მოხდეს არა ცალკეული ქვეყნის თვალსაზრისის გათვალისწინება, არამედ მთელი მსოფლიოსი; **საჭიროა, რომ** დავფიქრდეთ არა მხოლოდ დღევანდელ ამომრჩევლებზე, არამედ მომავალ თაობებზე; **საჭიროა, რომ** მათ, ვის ხელშიაც არის ძალაუფლება, გაბედულად აჩვენონ თავიანთი სახე; **საჭიროა, რომ** გაძლიერდეს როლი იმ ავტორიტეტული ორგანოებისა, რომლებსაც შეუძლიათ ისაუბრონ უუფლებოთა სახელით და იმ საერთო სიკეთეზე, რომელიც სცილდება ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს.

არარეფორმირებადი გაეროს ამოცანებისა და ფუნქციების ხელახალი განსაზღვრით, ჩვენ უფრო მეტად ვსაუბრობთ ნატოზე, დსთ-ზე (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), ვიდრე გაეროზე! კარგი იქნებოდა, რომ გაერო კიდევ უფრო მეტად კვალიფიცირდეს, როგორც ავტორიტეტული კათედრა, რომელსაც შეუძლია პოზიციების აღება და იმგვარი მითითებების გაცემა, რომლებიც საერთო პლანეტარულ სიკეთეზე შეახსენებენ ადამიანს! მიზანი, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგალითად, გაეროს დელეგირებული წევრების (სახელმწიფოების ელჩები, ასევე მათი ქვეყნების ხელისუფლება) უკეთესი კვალიფიკაციით, უშიშროების საბჭოს როლისა და ამოცანის ხელახალი განსაზღვრით, ვეტოს უფლების მოხსნით იმ ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებზე, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი მოიგეს. დიდი რელიგიებიც კი, რომლებიც აფასებენ, მაგრამ ასევე ამოწმებენ პოლიტიკურ და რელიგიურ ძალაუფლებას შორის გამიჯვნის დასავლურ გამოცდილებას, რათა რელიგია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კერძო სფეროთი, ეჭვგარეშეა, რომ 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე, მათ შეუძლიათ შეასრულონ ფუნდამენტური როლი იმ თვალსაზრისით, რომელიც არ შეიძლება აღმოიფხვრას ადამიანის გულიდან, რელიგიური დიალოგის შიშის გარეშე. დაბოლოს, მეცნიერება, მთავარ როლს რომ ასრულებს საზოგადოებაში, რომელსაც ძალზე ხშირად ბოროტად იყენებენ ტექნოლოგიების, ტექნოკრატიის, პოლიტიკის დიდი ინტერესებიდან გამომდინარე... საჭიროა, რომ... საჭიროა... საჭიროა...

სამართლიანად გახდა პოპულარული მარტინ ლუთერ კინგის ეს სიტყვები: ,,შენ შეიძლება არ იყო პასუხისმგებელი იმ ვითარებაზე, რაშიც იმყოფები, მაგრამ პასუხს აგებ, თუკი არაფერს გააკეთებ მის შესაცვლელად“.

„ვილოცოთ იმისთვის, რომ ისრაელსა და პალესტინაში მშვიდობამ დაისადგუროს“

„გულისტკივილითა და წუხილით ვაკვირდები იმას, რაც დღეს ისრაელში ხდება. ძალადობის სასტიკ აფეთქებას ასობით ადამიანი ემსხვერპლა. თანავუგრძნობ მსხვერპლთა ოჯახებს და ვლოცულობ მათთვის, ვინც ახლა შიშსა და ტანჯვას განიცდის. გევედრებით, შეწყვიტეთ თავდასხმა და დაუშვით იარაღი. მინდა ყველამ გაიგოს: ტერორიზმსა და ომს უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილისა და ტანჯვის გარდა არაფერი მოაქვს. ყოველი ომი - დამარცხებაა! ვილოცოთ იმისთვის, რომ ისრაელსა და პალესტინაში მშვიდობამ დაისადგუროს“, - განაცხადა უწმიდესმა ფრანცისკემ 8 ოქტომბერს წმიდა პეტრეს მოედანზე.

პოლიტიკური კულტურისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც კამალდოლის მონასტერში გაიმართა, წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა პიეტრო პაროლინმა განაცხადა: „მსოფლიო თითქოს უგუნურებამ მოიცვა და არსებული პრობლემების გადაჭრას რატომღაც ძალადობითა და ომით ლამობს. ჩვენ ვხედავთ, რა სისასტიკით ნადგურდება ადამიანთა სიცოცხლე, როგორ ქრება მშვიდობის დამყარების ისედაც სუსტი იმედი. ახლა დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისთვის, რომ გამოვნახოთ ერთადერთი - სამართლიანი, ქმედითი და მშვიდობიანი გადაწყვეტილება“.

იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს საგანგებო განცხადებაში ნათქვამია: „ძალადობის ახალ აფეთქებას კიდევ ურფო დიდი სიძულვილი მოჰყვება. სისხლისღვრა არ წყდება, ომი გამოცხადებულია. უსათუოდ უნდა მოიძებნოს პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის საბოლოო გადაჭრის გზა, რათა ამ მიწაზე მშვიდობა და სამართლიანობა დამყარდეს, რათა იერუსალიმი მსოფლიოს ყველა ერისთვის ლოცვის სახლად იქცეს“.

ეპისკოპოსთა სინოდის XVI გენერალური ასამბლეა

4 ოქტომბერს პავლე მეექვსის დარბაზში ეპისკოპოსთა სინოდის XVI გენერალური ასამბლეა გაიხსნა. „სინოდი არც საპარლამენტო სხდომაა, არც მეგობრული შეხვედრა, რომლის მონაწილეები წამოჭრილ პრობლემებს წყვეტენ და ერთმანეთს თავიანთ აზრებს უზიარებენ. ეს რაღაც უფრო მეტია. სინოდის მთავარი გმირები ჩვენ კი არ ვართ, არამედ სულიწმიდა. მინდა შეგახსენოთ პავლე მეექვსის სიტყვები იმის შესახებ, რომ დასავლეთის ეკლესიამ სინოდალურობის იდეა დაკარგა. თანდათან ჩვენმა გზამ აქ - სინოდალურობის სინოდზე მოგვიყვანა“, - აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში უწმიდესმა ფრანცისკემ. ამრიგად, კათოლიკე ეკლესიის წლევანდელი კრება სწორედ სინოდალურობას მიეძღვნა.

სინოდში 464 ადამიანი მონაწილეობს, აქედან 364 - ხმის უფლებით. დაგეგმილია 21 ერთობლივი შეხვედრა და 14 შეხვედრა მცირე ჯგუფებში. 5-7 ოქტომბერს მონაწილეებმა განიხილეს სინო-

დის სამუშაო დოკუმენტი - Instrumentum Laboris, რომელიც 20 ივნისს გამოქვეყნდა და ორი ძირითადი პუნქტისგან შედგება: 1. სინოდალური ეკლესია: საყოველთაო გამოცდილება და 2. თანაზიარება, მონაწილეობა, მისია: სინოდალური ეკლესიის სამი უმნიშვნელოვანესი საკითხი. 9 ოქტომბერს არჩეულ იქნა კომისია, რომელიც დასკვნით ანგარიშს წარმოადგენს. 23 და 25 ოქტომბერს კომისია წარმოადგენს დასკვნითი ანგარიშის პირველ და მეორე ნაწილებს. ყოველ ეტაპზე ხმის უფლების მქონე მონაწილეებს გენერალური სამდივნოსთვის თავიანთი მოსაზრებების წარდგენის უფლება ექნებათ. კრების დასკვნითი დოკუმენტის ტექსტს მონაწილეები 28 ოქტომბერს გაეცნობიან.

უწმიდესი ფრანცისკე ე. წ. „ბოდიშეიმინგის“ და პლასტიკური ქირურგიის შესახებ

თავისი მოსაზრებები პაპმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალგაზრდებთან გამართული ტელეხიდის დროს გამოთქვა. ტელეხიდის ერთ-ერთმა მონაწილემ, ახალგაზრდა ინდოელმა ქალმა შესჩივლა ფრანცისკეს, რომ ბავშვობისას ჭარბი წონის გამო ბულინგს განიცდიდა. პაპმა გულახდილად უამბო მსმენელებს, რომ სიყმაწვილეში თავად იყო ბულერი და სწორედ ჭარბი წონის გამო, სხვა ყმაწვილებთან ერთად, თანაკლასელს ჩაგრავდა. ხელდასხმის მერე მან ურთიერთობა აღადგინა ყოფილ თანაკლასელთან. ახლა იგი ევანგელური ეკლესიის მოძღვარია. მას დიდი დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ბავშვობის ტრავმები დაეძლია. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ „ასეთებად ვჩანდეთ“. სინამდვილეში კი უბრალოდ უნდა „ვიყოთ“, ანუ ვიყოთ ჰარმონიაში საკუთარ თავთან. ყველა ადამიანი ლამაზია, უბრალოდ, უნდა შევძლოთ ამ სილამაზის დანახვა როგორც სხვებში, ისე საკუთარ თავში. დარწმუნებული ვარ, რომ პლასტიკური ქირურგიაც სრულიად უსარგებლო რამაა, რადგან ამგვარი ხელოვნური „სილამაზე“ დროთა განმავლობაში მაინც გაქრება. ჯანსაღ ფსიქიკასა და სულის სილამაზეს კი დრო არ ემუქრება“, - აღნიშნა ფრანცისკემ. მაგალითად მან მოიყვანა ცნობილი იტალიელი მსახიობი ანა მანიანი, რომელმაც ხანდაზმულობისას უარი თქვა პლასტიკურ ქირურგიაზე და ასეთი რამ თქვა: „ნუ მომთხოვთ ნაოჭების დამალვას. ისინი მე დიდი შრომის ფასად დამიჯდა“.

ნიკარაგუაში კათოლიკე ეკლესიის დევნა გრძელდება

ოქტომბრის დასაწყისში ორტეგას რეჟიმმა სხვადასხვა ეპარქიებიდან ექვსი მღვდელი გაიტაცა. თვითმხილველთა მოწმობით, ეს დაპატიმრება კი არ არის, არამედ სწორედ გატაცებაა, რადგან ღვთისმსახურები არავის დაკავშირებიან და მათი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. კიდევ ხუთი მღვდელი წაიყვანეს, დაკითხეს და გამოუშვეს. დაბრუნებულებმა განაცხადეს, რომ პოლიციის გასამხედროებული განაყოფის წარმომადგენლები მათ დაშინებას შეეცადნენ.

პაპის სამოციქულო ეპისტოლე ვერიკო ნოზაძე

4 ოქტომბერს, წმიდა ფრანცისკე ასიზელის ლიტურგიული მოხსენიების დღეს, ვატიკანმა გამოაქვეყნა პაპ ფრანცისკეს სამოციქულო ეპისტოლე Laudate Deum („ადიდეთ ღმერთი“), რომელიც, მისი თქმით, ავსებს 2015 წლის ენციკლიკას Laudato si’, მიძღვნილს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი.

Laudate Deum შედგება 73 პარაგრაფისგან და ეყრდნობა გაეროს კლიმატის სამიტს COP28, რომელიც ორ თვეში დუბაიში გაიმართება. პაპი აცხადებს, რომ სამყარო „იშლება და, შესაძლოა, განადგურების პირზეც დგას“, ამიტომ, ახალი გზავნილის საშუალებით, იგი მოუწოდებს მსოფლიოს საზოგადოებას კლიმატური კრიზისის წინაშე საერთო პასუხისმგებლობისაკენ. ეს არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელზეც საზოგადოებამ უნდა უპასუხოს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები გავლენას ახდენს პლანეტის ყველაზე დაუცველ ადამიანებზე.

თავის გზავნილში პაპმა ამხილა ,,მსხვილი ეკონომიკური ძალები“ იმაში, რომ ისინი ინტერესს არ იჩენენ ეკოლოგიური კრიზისის მიმართ და მხოლოდ მოგების ძიებაში არიან. პონტიფექსი ასევე უსამართლოდ და გაუმართლებლად მიიჩნევს იმ პირთა პოზიციას, ვინც უარყოფს გლობალური დათბობის ფაქტს და, მისი თქმით, ასეთი ადამიანები კათოლიკე ეკლესიის წიაღშიც არიან.

„რაც შეეხება კლიმატს, მასთან დაკავშირებული ფენომენი დიდხანს დარჩება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მოვლენებმა გამოიწვია ის. ამიტომ, ჩვენ ვერ აღმოვფხვრით იმ უზარმაზარ ზიანს, რაც პლანეტას მიადგა. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ არ დავუშვათ კიდევ უფრო დრამატული შედეგები“, - აღნიშნავს პაპი ფრანცისკე და იმეორებს თეზისებს, რომ „ყველაფერი დაკავშირებულია“ და „მარტო არავინ გადარჩება“.

მეორე თავში პაპი წერს „ტექნოკრატიული მოდელის“ შესახებ, რომლის თანახმადაც „სინამდვილე, სიკეთე და ჭეშმარიტება თითქოს თავისთავად მომდინარეობს ტექნოლოგიისა და ეკონომიკის ძალისაგან“, რომელიც ეფუძნება იდეას, რომ ადამიანი არაფრით არ უნდა იყოს შეზღუდული. კაცობრიობამ, ხაზგასმით აღნიშნავს პაპი, მიაღწია ტექნოლოგიური პროგრესის უმაღლეს დონეს, თუმცა ეს მიღწევები „უაღრესად სახიფათო გახდა, მას შეუძლია საფრთხე შეუქმნას მრავალი არსებისა და თავად ჩვენს სიცოცხლეს.

პონტიფექსი ასევე საუბრობს საერთაშორისო პოლიტიკის სისუსტეზე და საჭიროდ სცნობს სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი შეთანხმების აუცილებლობას. იგი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი ეფექტურობისა და მათი ავტორიტეტის ზრდისაკენ. პაპი წუხს, რომ გლობალური კრიზისები „დაკარგულ შესაძლებლობებად“ იქცევა, როგორც ეს იყო 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისისა და პანდემიის შემთხვევაში: მათ განაპირობეს „ინდივიდუალიზმის ზრდა, ინტეგრაციის ნაკლებობა, მეტი თავისუფლება ძლიერთა, რომელთათვისაც ყოველთვის მოიძებნება იოლი გამოსავალი“.

პაპი ფრანცისკე იმედოვნებს, რომ მომავალი სამიტი COP28 დააჩქარებს განახლებული ენერგიის წყაროებზე გადასვლას. შემდეგ პაპი შეახსენებს პრინციპებს, რომლითაც ქრისტიანებმა უნდა იხელმძღვანელონ, და ასევე მიმართავს სხვა რელიგიის წარმომადგენელ ძმებსა და დებს. „...ჩვენ ვქმნით ერთგვარ უნივერსალურ ოჯახს, უზენაეს ერთობას, რომელიც გვიღვიძებს სიყვარულითა და თავმდაბლობით სავსე საღმრთო პატივისცემას“.

 ნუგზარ ბარდაველიძე

ღვთაებრივი გულმოწყალების რუსთავის კათოლიკური ტაძარი 5 წლისაა

5 ოქტომბერი ღვთაებრივი გულმოწყალების დღესასწაულია, 5 წლის წინ სწორედ ამ დღეს იკურთხა რუსთავის კათოლიკური ტაძარი, რომელიც ისტორიითა და არქიტექტურის წყალობით გამოირჩევა სამხრეთ კავკასიის სხვა კათოლიკურ ტაძართაგან; რუსთავში მის აგებას წინ საკმაოდ ხანგძლივი წინააღმდეგობები უძღოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი კათოლიკე მრევლი და სამოციქულო ადმინისტრაცია ძალისხმევას არ იშურებდა და მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთიც ოფიციალურად შეძენილიც იყო, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მრავალწლიან წინააღმდეგობათა გამო ტაძრის აგება ვერ ხერხდებოდა. მხოლოდ პაპ ფრანცისკეს სტუმრობამ თბილისში 2016 წელს შესაძლებელი გახადა ტაძრის აგებისათვის თანხმობის გაცემა.

პაპ ფრანცისკეს საქართველოში სტუმრობასთან რუსთავის ტაძარს აკავშირებს მრავალი სიმბოლოც, რომლებიც დღეს ამ მომხიბლავი ტაძრის მშვენებასა და ისტორიას წარმოადგენენ და მის საკრალურობას კიდევ

უფრო მნიშვნელოვანს ხდიან. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ღვთაებრივი გულმოწყალების დღესასწაულზე რუსთავის ტაძრის მომლოცველობა. ეს ლამაზი ტრადიცია ტაძრის კურთხევის დღიდან იღებს დასაბამს. 5 ოქტომბერს, დილაადრიან, დედა ტერეზას მოწყალების ორდენის დები (მორწმუნეებთან ერთად) თბილისში თავიანთი მისიიდან იწყებენ ფეხით სვლას და დაახლოებით 30 კილომეტრს გადიან ლოცვით. ასევე, თბილისის საკათედრო ტაძრიდან ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ველოსიპედით მომლოცველობას ახორციელებს რუსთავის ტაძრისაკენ, საქართველოს სხვადასხვა საკრებულოდან მრევლი თავიანთ მოძღვრებთან ერთად სტუმრობენ რუსთავის საკრებულოს. ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა. მიუხედავად იმისა, რომ 5 ოქტომბერი სამუშაო დღე იყო, მრავალი მორწმუნე სტუმრობდა რუსთავის საკრებულოს. თბილისელი კათოლიკეების ნაწილი ავტომობილებით გამოემგზავრა და გზაში მომლოცველთა ჯგუფს სასმელი წყლითა და მოკრძალებული ტრაპეზითაც გაუმასპინძლდა. რაც შეეხებათ მომლოცველებს, მათ შორის მრავლად იყვნენ თბილისში მცხოვრები ინდოელი კათოლიკე ახალგაზრდები. სტუმრები ჩამოვიდნენ სამხრეთ საქართველოდანაც, რუსთავის ტაძრის პირველი წინამძღვრის, მამა ანჟეის ხელმძღვანელობით; სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობდა არალისა და უდეს საკრებულოების დელეგაცია.

სადღესასწაულო მსახურების დროს, თავის ქადაგებაში მეუფე ჯუზეპემ ყურადღება გაამახვილა ღვთაებრივ გულმოწყალებაზე და წმიდა ფაუსტინა კოვალსკას ღვაწლზე, პაპ ფრანცისკესა და პაპ იოანე-პავლე მეორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე გულმოწყალების მიმართ; პაპ ფრანცისკეს სწავლებაზე, რომ შეუძლებელია ღმერთის შეცნობა გულმოწყალების გარეშე; გაიხსენა, როგორ აღნიშნავდა იოანე-პავლე მეორე, ადამიანებს გულმოწყალებაზე მეტად ღვთაებრივი სამართლიანობა მოსწონთო. უნდა ვიყოთ გულმოწყალენი მოყვასთა მიმართ, რათა შეგვეძლოს დავინახოთ ღმერთის თვალებით, შევიცნოთ, იმსახურებს თუ არა სხვა ადამიანი ჩემს თანაგრძნობას. ჩვენ უნდა ვიგრძნოთ გულმოწყალების გემო, მისი მადლი. ,,კარგი იქნება, თუ რუსთავის სამრევლოს მუდმივად ეყოლება თავისი მოძღვარი, ამგვარად სამრევლო უფრო გაძლიერდება“, - აღნიშნა თავისი ქადაგების ბოლოს მეუფე ჯუზეპემ.

მსახურების დასასრულს, ტაძრის წინამძღვარმა, მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა, სამრევლოს სახელით მადლობა გადაუხადა მეუფე ჯუზეპეს, მსახურებაში მონაწილე სამღვდელოებასა და სტუმრად მობრძანებულ მორწმუნეებს სადღესასწაულო წირვაში მონაწილეობისა და იმ სიყვარულისათვის, რასაც ისინი ავლენენ რუსთავის კათოლიკური სამრევლოს მიმართ. ტაძრის სამრევლო საბჭოს სახელით, მეუფე ჯუზეპეს სამახსოვრო საჩუქრად გადასცეს იესოს გულმოწყალების ხატი.

ნუგზარ ბარდაველიძე

ანგლიკანური ეკლესიის პრიმასის სტუმრობა თბილისის კათოლიკურ საკათედრო ტაძარში

3 ოქტომბერს თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარი და პირადად სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მასპინძლობდა მაღალ სტუმრებს: ანგლიკანური ეკლესიის სულიერ ლიდერს, კენტერბერიის არქიეპისკოპოსს, მის მოწყალება ჯასტინ უელბის და ევროპაში ეპისკოპალურ ეკლესიათა გაერთიანების ეპისკოპოსს, მაღალღირს მარკ ედინგტონს.

კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, მისი მოწყალება ჯასტინ უელბი, ინგლისის ლორდთა პალატის მუდმივი წევრი, საკმაოდ ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე გახლავთ, იგი, როგორც გაერთიანებული სამეფოს პრიმასი, უშუალოდ წარმართავდა ჩარლზ III-ის კორონაციას. ჯასტინ უელბი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო სამშვიდობო პროცესებში, ამჟამადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მისი ვიზიტის მიზანი მთიან ყარაბახთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობაა. ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანში სტუმრობის შემდგომ, არქიეპისკოპოსი ჯასტინ უელბი საქართველოს ესტუმრა, შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

არქიეპისკოპოს ჯასტინ უელბის ისტორიული ვიზიტი კავკასიაში დაემთხვა თბილისის წმ. ნინოს ანგლიკანური სამრევლოს დაფუძნების მეხუთე წლისთავს და ანგლიკანური ეკლესიის პრიმასმა, მიუხედავად ძალზე დატვირთული გრაფიკისა, მოახერხა თბილისელ ანგლიკანებთან შეხვედრა. ვინაიდან წმ. ნინოს სამრევლოს ჯერჯერობით საკუთარი სამლოცველო არ გააჩნია, ამ ღირსშესანიშნავი შეხვედრის მასპინძლობა სამხრეთ კავკასიაში კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპემ, ითავა.

ლოცვითი ლიტურგია აღავლინეს საქართველოს ანგლიკანური/ეპისკოპალური სამრევლოსთვის. ამ მნიშვნელოვანი მსახურებისთვის გულთბილად გვიმასპინძლა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, რომელიც თავადაც მონაწილეობდა მსახურებაში, როგორც ეკუმენური პარტნიორი და მასპინძელი ეპისკოპოსი.

ლიტურგია წმიდა ფრანცისკე ასიზელის დღესასწაულის მწუხრს დაემთხვა, ამიტომაც საკითხავები და საგალობლები ღმერთის ქმნილების დაცვისა და დაფასების თემას მიეძღვნა. ქადაგებისას მისმა მოწყალებამ ჯასტინ უელბიმ აქცენტი გააკეთა მშვიდობის აუცილებლობაზე რეგიონში, ვინაიდან რუსეთ-უკრაინის ომი და დაძაბულობა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სცილდება უშუალოდ რეგიონის მასშტაბებს და გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. ყარაბაღიდან ათეულ ათასობით იძულებით გადაადგილებული ადამიანი ელის მშვიდობას, სამართლიანობასა და თანადგომას, ,,ამიტომ ყოველი ჩვენგანის, ასევე, სახელმწიფოთა და ეკლესიათა ლიდერების ვალია ვიზრუნოთ მშვიდობასა და ადამიანთა კეთილდღეობაზე“, - აღნიშნა ჯასტინ უელბიმ.

კათოლიკურ საკათედრო ტაძარში აღვლენილ მსახურებაზე ეკუმენურ სტუმართა შორის იყვნენ: არქიეპისკოპოსი ჟოზე ბეტენკური (სამოციქულო ნუნციუსი საქართველოსა და სომხეთში), მამა ლეონ გელოვანი (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია), მამა ზაზა თევზაძე (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია), მღვდელი კირაკოს სიმონიანი და დიაკონი გევორქ ავეტისიანი (სომხური სამოციქულო წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია), ოფიცერი სოფიო ბახტაძე (ხსნის არმია). ლიტურგიას ასევე ესწრებოდნენ გაერთიანებული სამეფოსა და უნგრეთის ელჩები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მსახურების ბოლოს, თბილისის სამრევლოს სახელით, ანგლიკანური ეკლესიის თბილისის წმ. ნინოს სამრევლოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ლიდერმა თომა ლიპარტიანმა მაღალ სტუმარს, არქიეპისკოპოს უელბის საჩუქრად გადასცა წმ. სამების ხატი, რომლის დედანიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერაა შესრულებული. ღვთისმსახურების შემდგომ მრევლის წევრებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალო ვითარებაში პირადად გაეცნოთ არქიეპისკოპოსი ჯასტინ უელბი და მისი თანმხლები სტუმრები.

,,მეგობრობა გრძელდება...“

ინტერვიუ ჟოზე აველინო ბეტენკურთან, წმიდა საყდრის სამოციქულო ნუნციუსთან საქართველოსა და სომხეთში.

მის აღმატებულებას, წმიდა საყდრის დესპანს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკაში, არქიეპისკოპოს ჟოზე აველინო ბეტენკურს დიპლომატიური სამსახურის ვადა ამოეწურა, სულ მალე ნუნციუსი დატოვებს საქართველოს და დიპლომატიურ მისიას კამერუნში გააგრძელებს. დასავლეთ აფრიკის ამ 27 მილიონიან სახელმწიფოში მოსახლეობის 27 პროცენტი კათოლიკეა და კათოლიკე ეკლესია ყველაზე მრავალრიცხოვან კონფესიას წარმოადგენს. ასე რომ, მის უმაღლესობას ბევრად მეტი ძალისხმევა დასჭირდება წმიდა საყდრის დიპლომატიური და ეკლესიათშორისი მისიის წარმატებით განსახორციელებლად.

არქიეპისკოპოსმა ჟოზე აველინო ბეტენკურმა, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, დიდი სიმპათია მოიპოვა ქვეყნის კათოლიკეებში, რომლებიც მოუთმენლად ადევნებდნენ თვალს, თუ ვინ იქნებოდა რეგიონში წმიდა საყდრის დესპანი. დიპლომატიური სამსახურის დაწყების პირველივე დღეებიდან მისმა უმაღლესობამ თავისი მზრუნველობით, ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარით, თავმდაბლობითა და სითბოთი, კათოლიკეებისა და სხვა კონფესიის წარმომადგენელთა კეთილგანწყობა დაიმსახურა. იგი, როგორც საქართველოში დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, ღირსეულად წარმოადგენდა სახელმწიფოში წარმოდგენილ ელჩებს, მუდამ პრინციპულად და დაუღალავად ზრუნავდა წმიდა საყდრისა და კათოლიკე ეკლესიის ინტერესების დაცვაზე; ეკლესიათშორისი ურთიერთობების ფარგლებში, მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მართლმადიდებელ და სხვა კონფესიების მწყემსმთავრებთან და სულიერ ლიდერებთან; იგი სისტემატურად ესწრებოდა ადგილობრივ კათოლიკეთა დღესასწაულებს, თავისუფალ დროს მოგზაურობდა საქართველოსა და სომხეთში, ეცნობოდა ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს; მისი ძალისხმევით ერევანში ამოქმედდა სადესპანოს წარმომადგენლობა. არქიეპისკოპოს ჟოზე აველინო ბეტენკურის მხარდაჭერასა და პირად კეთილგანწყობას მუდამ გრძნობდნენ ჩვენი კათოლიკური სამრევლოები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი და ჟურნალი ,,საბა“. მართალია, გულდასაწყვეტია ნუნციუსის სხვა მისიაში გადაყვანა, ვინაიდან წმიდა საყდრის დესპანისგან წამოსული ადამიანური სითბო, მუდმივი თანადგომა და მხარდაჭერა ამ სამი ათწლეულის მანძილზე ამგვარი დოზით პირველად ვიგრძენით, თუმცა იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ეს მხარდაჭერა სხვა ქვეყნის კათოლიკეებსაც სჭირდებათ.

ჟურნალ ,,საბას“ სარედაქციო კოლეგიისა და მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით, გულითად მადლობას ვუხდით მის აღმატებულება ჟოზე აველინო ბეტენკურს მისი დიპლომატიური სამსახურის დროს გამოჩენილი სითბოსა და თანამშრომლობისათვის და ნაყოფიერ და წარმატებულ მისიას ვუსურვებთ ახალ დიპლომატიურ ასპარეზზე.

ამ წლების მანძილზე ჩვენს არაერთ კათოლიკურ საკრებულოს ესტუმრეთ, შეხვდით ჩვენი ეკლესიის მრევლსა და ორგანიზაციებს (კარიტასი, უნივერსიტეტი, კათოლიკური თემები), გაეცანით მათ საქმიანობას, ისტორიას, გაიზიარეთ მათი სიხარული თუ საფიქრალი. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები და რას ეტყოდით მათ საქართველოდან გამგზავრებამდე?

საქართველოში ჩემი მისია სისხლსავსე და მეტად საინტერესო იყო. უამრავი ადამიანი გავიცანი, მრავალი ადგილი მოვინახულე. ჩემი აქ ჩამოსვლიდან (2018 წ.) მოყოლებული, არაერთი ადამიანი თუ შემთხვევა დამამახსოვრდა. ყველაზე მთავარი სათქმელი კი სახარებისეული რწმენის, იმედისა და სიყვარულის მარადიული გზავნილია. სამოციქულო ადმინისტრაციის არსებობის 30 წლის მანძილზე აქაურმა ეკლესიამ ბევრი რამ გააკეთა და მომავალ მიღწევებსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. ბევრი

 ნუგზარ ბარდაველიძე

სატაძრო მშენებლობის აღორძინება

ბაქოს კათოლიკური ტაძარი

გვიან შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის ქალაქებში (თბილისი, გორი, ერევანი, განჯა, შემახა, ბაქო) ფუნქციონირებდა კათოლიკურ ორდენთა მისიები. მრევლი შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ ყოველ მისიას თავისი ტაძრები და სამლოცველოები გააჩნდა. XIX საუკუნის ბოლოსათვის, ნავთობის რეწვის დამსახურებით, ბაქო უკვე სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ აყვავებულ და მრავალეროვან ქალაქად გადაიქცა. აქ ცხოვრობდა მრავალი კათოლიკე, უმთავრესად ევროპელები. გასული საუკუნის 30-იან წლებში ბაქოში, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველა სხვა ქრისტიანული კონფესია რეპრესიაში მოხვდა და სატაძრო ნაგებობები ჩამოერთვა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სამოციქულო ადმინისტრატორმა ბაქოში კათოლიკე მორწმუნეთა მოძიება და სამრევლოს შექმნა დაავალა პოლონეთიდან ახლად ჩამოსულ მოძღვარს, მამა იეჟი პილუსს. მანაც რამდენიმე წელიწადში ასკაციანი სამრევლო დააფუძნა. სატაძრო ნაგებობის არარსებობის გამო ყოველკვირეულ მსახურებას იგი ნაქირავებ ბინაში ატარებდა. ასე რომ, მეუფე ჯუზეპესა და მამა იეჟის სულიერი მონდომებითა და ფიზიკური ძალისხმევით აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სადაც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან კათოლიკე სამრევლო საერთოდ გამქრალი იყო, კვლავ აღდგა მცირე, მაგრამ სწრაფად მზარდი საკრებულო, რომელმაც რამდენიმე წელიწადში რამდენიმე ასეული მორწმუნე, მათ შორის, ეთნიკურად აზერბაიჯანელები, გააერთიანა.

2001 წელს, რომის პაპ იოანე-პავლე II-ის ვიზიტის დროს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა რომის პაპს, ოფიციალური შეხვედრის დროს, რომელსაც სამოციქულო ადმინისტრატორიც ესწრებოდა, მადლიერების გამოხატულების ნიშნად, ბაქოს ცენტრში ტაძრის ასაგებად გადასცა მიწის ნაკვეთი, სადაც რამდენიმე წელიწადში გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი აიგო. მართალია, სამოციქულო ადმინისტრატორის თხოვნით და შუამავლობით, ბაქოს სამრევლო სალეზიელთა ორდენს გადაეცა, თითქმის ორი ათწლეულია, აზერბაიჯანის სამოციქულო პრეფექტურაც დაფუძნდა და ადგილობრივი კათოლიკური ეკლესია უშუალოდ წმიდა საყდარს დაექვემდებარა, რაც სწორად გამიზნული პოლიტიკა იყო. ისტორიული სამართლიანობის გამო, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაქოში კათოლიკე ეკლესიის აღორძინება მთლიანად სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციისა (რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე რეგიონის სამივე სახელმწიფოს აერ-

თიანებდა) და მისი ხელმძღვანელის დამსახურებაა.

ერევნის ლათინური წესის კათოლიკური ტაძარი

ბოლო წლებამდე ერევანში ლათინური წესის კათოლიკური ტაძარი არ მოქმედებდა, არ არსებობდა არც ყოფილი კათოლიკური სატაძრო ნაგებობა, რომლის დაბრუნებასაც შეძლებდნენ ერევნელი კათოლიკეები, უფრო მეტიც, არც იძებნებოდა ადგილი, სადაც გვიან შუა საუკუნეებში კათოლიკური ტაძარი უნდა მდგარიყო. ამ დროს კი ლათინური წესის კათოლიკეების სამრევლო უკვე აქტიური ფორმირების პროცესში იმყოფებოდა.

სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯუზეპეს თანადგომით, ერევანში კათოლიკე მღვდელმსახურისა და ადგილობრივი სამრევლოს წინამძღვრის, მამა სიმონ ბერნარდო დე ნარდოს ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ლათინური წესის მუდმივმოქმედი საკრებულო, რომელიც კერძო ბინაში იყო განთავსებული, რაც ერთგვარ დისკომფორტსაც იწვევდა. ამიტომ, სამოციქულო ადმინისტრაციის ორგანიზებითა და მამა სიმონ ბერნარდო დე ნარდოს პირადი კავშირების, მონდომებისა და დაუღალავი შრომის წყალობით, აიგო სატაძრო ნაგებობაც.

ისტორიულად გვიან შუასაუკუნეებში ქალაქი ერევანი, რომელიც იმჟამად ერევნის სახანოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა, რეგიონში ლათინური წესის კათოლიკობის ერთ-ერთ ცენტრად გვევლინებოდა. აქ მოქმედებდა ფრანგი კათოლიკეების მისია, რომელსაც საფრანგეთის სამეფო და პირადად მეფე-მზე ლუი XIV უწევდა მეურვეობას. საფრანგეთის მხარდაჭერითა და შემოწირულობებით ერევნის კათოლიკური მისია გამორჩეული იყო კავკასიაში. სავარაუდოდ, ლათინური წესის კათოლიკეებს ერევანში ტაძრებიც ექნებოდათ. თუმცა გასულ საუკუნეში წარსულის მემკვიდრეობის გამიზნული განადგურების თვალსაზრისით წარმოებულმა მასობრივმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ერევანში მრავალი ისტორიული ძეგლი იმსხვერპლა, სავარაუდოდ, ალბათ კათოლიკური მემკვიდრეობის ძეგლებიც.

საბჭოთა რეჟიმმა განადგურებამდე მიიყვანა სომხეთში კათოლიკობა. საბჭოთა ხელისუფლებამ საერთოდაც გააუქმა სომხური კათოლიკური წესი, მართალია, გასული საუკუნის 90-იან წლებში სომხური წესის კათოლიკური ეკლესია აღდგა, მაგრამ სომხეთის ტერიტორიაზე ლათინური წესის სამრევლო არ არსებობდა. ერევანში სამსახურებრივი მივლინებით მყოფ დიპლომატებსა და სტუმრებს არ ჰქონდათ საშუალება კათოლიკური წესის რიტუალებზე დასწრებისა, თუმცა ერევანში ლათინური წესის მღვდელმსახურის მუდმივად ყოფნამ და ტაძრის აგებამ, რაც ლათინური წესის სამოციქულო ადმინის-

ტრაციისა და მამა სიმონ ბერნარდო დე ნარდოს ძალისხმევით განხორციელდა, სომხეთში კათოლიკურ ეკლესიას ახალი პერსპექტივები გაუხსნა.

სოხუმის წმ. სიმონ კანანელის ტაძარი

სოხუმში (ცხუმი) ჯერ კიდევ XIV საუკუნის დასაწყისში არსებობდა კათოლიკური ეპარქია, რომელიც გენუელებმა დააარსეს. ამ ეპოქაში შავიზღვისპირეთის საპორტო ქალაქებთან არსებობდნენ გენუის რესპუბლიკის გამგებლობაში მყოფი სავაჭრო ფაქტორიები. ცხუმშიც, გიორგი ბრწყინვალესთან შეთანხმებით, გენუელებმა დააარსეს თავიანთი სავაჭრო ფაქტორია, რომელსაც, ძველი რომაული ტრადიციით, სებასტოპოლისს უწოდებდნენ. ცხუმის ვენეციელთა ფაქტორია 1478 წლამდე ფუნქციონირებდა. ამავე ეპოქაში სოხუმში, გენუელთა მხარდაჭერით, კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, სოხუმის პირველი ეპისკოპოსი იყო ბერნარ მორე (1318- 1330). ვატიკანში დაცული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ცნობილია შვიდი ეპისკოპოსის სახელი, სავარაუდოდ, გენუელთა ფაქტორიის გაუქმების პარალელურად, დაიხურა საეპისკოპოსო კათედრაც. მე-19 საუკუნეში კათოლიკური საკრებულო კვლავ ჩამოყალიბდა და მალე აიგო მცირე ზომის ტაძარი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. შემდგომ ათწლეულებში სატაძრო ნაგებობა უფუნქციოდ დარჩა, მრევლი დაიფანტა, მაგრამ არ გამქრალა; სამხრეთ საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის აღდგენამ სოხუმელ კათოლიკეთა შთამომავლებსაც გაუჩინა იმედი ეკლესიის აღორძინებისა. 2000 წლების დასაწყისში, მამა იეჟი პილუსის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა სოხუმის კათოლიკური მრევლის შეკრებისა და შემდგომ კი ყოფილი სატაძრო ნაგებობის დაბრუნება და რესტავრაცია. განახლებული კათოლიკური ტაძარი წმ. სიმონ კანანელის სახელზე იკურთხა, ხოლო მას შემდეგ კი, რაც ტაძარი და საკრებულო ამოქმედდა, კათოლიკე მრევლის რაოდენობამ, საკმაოდ მცირე დროში, სამნიშნა ციფრს გადააჭარბა. ასე რომ, თითქმის ოთხმოცწლიანი ინტერვალის შემდგომ, სამოციქულო ადმინისტრაციამ ისტორიული სამართლიანობა აღადგინა, ადგილობრივი კათოლიკეების ოცნება რეალობად აქცია. უკვე მეორე ათწლეულია სოხუმის წმ. სიმონ კანანელის კათოლიკური სამრევლო მამა იეჟის წინამძღვრობით ფუნქციონირებს და ვითარდება.

კათოლიკური სამრევლოების აღორძინება გურიაში

გურიაში კათოლიკობას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ჯერ კიდევ 1634 წელს, როსტომ ხანისა და მარიამ დედოფლის ქორწინებასთან დაკავშირებით, თბილისში სტუმრად მყოფმა გურიის შემოქმედელმა ეპისკოპოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ, უკან დაბრუნებისას, გორის თეატინელთა მისიის პრეფექტს, დონ პიეტრო ავიტაბილეს, სთხოვა, რომ რამდენიმე კათოლიკე მამა გურიაშიც მიევლინებინა. დონ პიეტრომ შემოქმედის ეპისკოპოსს თხოვნა შეუსრულა და სამი თეატინელი მისიონერი: დონ კრისტოფორო კასტელი, დონ ანტონიო ჯარდინა და ძმა კლავდიო ეპისკოპოსს გაჰყვნენ გურიის სამთავროში. ცხადია, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ დონ კრისტოფორო კასტელის დამსახურებით ქართულ ისტორიოგრაფიას შემორჩებოდა უნიკალური გრაფიკული ჩანახატები იმ ეპოქის საქართველოს შესახებ. პოლიტიკურ ჭრილში კი გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში კათოლიკე მისიონერების მიწვევა და მათთვის მსახურების სრული თავისუფლების მინიჭება ამ მთავართა ევროპული ორიენტაციის საუკეთესო დამადასტურებელ ფაქტად ჩაითვლება. თუმცა მთავრების ცვლილებასთან და საგარეო ზეწოლისა და აუტანელი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო დასავლეთ საქართველოში კათოლიკურმა მისიებმა არსებობა შეწყვიტეს.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გურიის იმ სოფლებში,

დონ კრისტოფორო დე კასტელი, გურიის სოფლის ჩანახატი

სადაც ჩაის კულტურა აღმავლობას განიცდიდა და მუშახელზე მოთხოვნა გაიზარდა, სამხრეთ საქართველოს, კერძოდ კი, ჯავახეთის სოფლებიდან, სადაც მზარდი მოსახლეობა მცირემიწიანობით იყო შეჭირვებული, დაიწყო გეგმიური მიგრაცია. ჯავახეთიდან, განსაკუთრებით კი სოფელ ტურცხიდან, ათეულობით ეთნიკურად სომეხი და აღმსარებლობით კათოლიკე ოჯახი გადმოსახლდა ოზურგეთის (იმხანად მახარაძის) რაიონში. ასე რომ, თავად ოზურგეთში, ანასეულში, შრომაში გაჩნდა კათოლიკეებით კომპაქტურად დასახლებული უბნები. კათოლიკური ტრადიციიდან და რელიგიური კულტურიდან გამომდინარე, გურიაში გადმოსახლებულმა კათოლიკეებმა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებში მათ რელიგიურობას, მით უმეტეს, კათოლიკურ აღმსარებლობას განსაკუთრებული დამალვა სჭირდებოდა, ათწლეულების მანძილზე შეინარჩუნეს კათოლიკობისადმი ერთგულება. ამგვარად, ვიდრე პიროვნული რელიგიურობა აღარ იქნებოდა დასჯადი, გურიაში მცხოვრები კათოლიკეები ფარულად აგრძელებდნენ ოჯახებში წმ. სავარდის სისტემატურ ლოცვებს, ხოლო რელიგიური რიტუალებისთვის თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ტაძარს სტუმრობდნენ. ამგვარად, გურიის სოფლებში მთელი ათწლეულების მანძილზე არსებობდა კრიპტო კათოლიკური თემი, რომლის წევრებიც, თავიანთი შრომისმოყვარეობის, კეთილსინდისიერების წყალობით, დიდი სიმპათიით სარგებლობდნენ ადგილობრივ წრეებში. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ლათინური წესის სამოციქულო მმართველობა, გურიის კათოლიკეებსაც გაუჩნდათ სურვილი, აეღორძინებინათ კათოლიკური სამრევლოები და მათთვის ოფიციალური სტატუსი მიენიჭებინათ. ქუთაისში წმ. სტიგმელთა მისიისა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკური სადეკანოს დაფუძნების შემდგომ ბევრად გაადვილდა გურიის კათოლიკეების ოცნების აღსრულება. მამა გაბრიელე ბრაგანტინის უშუალო ძალისხმევით, ქალაქ ოზურგეთშიც და სოფელ შრომაშიც უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან სისტემატურად ტარდებოდა წმიდა წირვები, აღესრულებოდა საეკლესიო რიტუალები, საჭიროების შემთხვევაში, მამა გაბრიელე სტუმრობდა ანასეულსაც. ამგვარად, ჩამოყალიბდა მუდმივი ადგილობრივი სამრევლოები თავიანთი სამრევლო საბჭოებით, რომელთა აქტიური ძალისხმევით გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რათა გურიაში მცხოვრებ კათოლიკეებს ოფიციალურად შეძლებოდათ აეგოთ თავიანთი ტაძრები. გურიის კათოლიკეთა ამ სურვილმა, სამოციქულო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, მალე სასურველი ნაყოფიც გამოიღო და დღეს ოზურგეთის ცენტრში აიგო და მოქმედებს წმ. სტეფანე პირველწამებულის სახელზე ნაკურთხი ტაძარი, ხოლო სოფელ შრომაში - სამლოცველო სახლი.



დონ კრისტოფორო დე კასტელი, ქართველები თამაშობენ „პოლოს“. ჩანახატი გაკეთებულია 1640-იან წლებში.

გაგრძელება იქნება

გაკეთდა საკუთარი ძველი ისტორიის შესასწავლად, ბოლო საუკუნის ისტორიულ-პოლიტიკურ ქარტეხილებში ჩაკარგული საკუთარი მეობის კვლავ აღმოსაჩენად, კათოლიკურ, ქრისტიანულ რწმენაში განსამტკიცებლად და მის დასამოწმებლად. მთელი ეს ეპოპეა ჩემს დიდი პატივისცემას იწვევს.

თქვენ გულმოდგინედ ეცნობოდით ქართულ კულტურას, ხშირად სტუმრობდით ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. რამ მოგხიბლათ ყველაზე მეტად და რაზე უნდა კონცენტრირდეს ჩვენი ეკლესია, რათა კიდევ უფრო გამდიდრდეს კულტურულად?

დამამახსოვრდა გორში, 2018 წლის 30 ნოემბერს, ჩატარებული რელიგიური ცერემონია - 80 წელს მიტანებული სამი კათოლიკე ქალბატონი პირველი ზიარების საიდუმლოებას იღებდა. ერთ ხელში წმიდა სავარდი ეჭირათ, მეორეში კი - სანთელი. სწორედ წმიდა სავარდის ლოცვამ შემოუნახა მათ რწმენა მრავალი წლის მანძილზე. მონათლულნი იყვნენ, მაგრამ პირველი ზიარება კი არასდროს მიეღოთ. იმ წამს ჩემ თვალწინ ფილმივით გაირბინა რწმენის მთელმა ისტორიამ საქართველოში. რამდენი რამის თქმა შეიძლება უამრავ სხვა მონათლულ ადამიანზე, ბერ-მონაზვნებზე, მღვდლებსა და ეპისკოპოსებზე! მხოლოდ თბილისში 15-მდე არქიეპისკოპოსი ჩამოითვლებოდა...

მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს. არც მე მოვსულვარ გამზადებული პროგრამით. ამის ნაცვლად, ვცდილობდი ყური დამეგდო, საღი აზრითა და ქრისტიანული პრინციპებისადმი ერთგულებით მემოქმედა. ვფიქრობ, რომ სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ შვიდი წლის წინ ჩატარებული სინოდის მეშვეობით მძლავრად გაისმა ადგილობრივი ეკლესიის ხმა. მთავარია, არ გვეშინოდეს და ვუერთგულოთ ჩვენს კათოლიკურ, ქრისტიანულ იდენტობას.

წმიდა საყდრის დესპანად და დიპლომატიური კორპუსის დუაიენად მოღვაწეობის პერიოდში არაერთ საერო, საეკლესიო და რელიგიურ ხელისუფალს შეხვდით, ურთიერთობდით პოლიტიკოსებთან, დიპლომატებთან, კულტურის სფეროსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მრავალს უსმენდით, ესაუბრებოდით. თქვენი აზრით, რა სჭირდება ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანას და მის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს?

წმიდა საყდრის სადესპანოს როლს ვხედავ იმაში, რომ ხელი შეუწყოს ხიდების გადებას სხვადასხვა რეალობებს შორის, შექმნას შეხვედრის ადგილები საერთო საქმის უკეთ საკეთებლად.

კავკასიაში მუშაობის მთელი ამ წლების მანძილზე ხშირად ვიყენებდი ინგლისურ სიტყვას „engage“ (,,ჩართულობა“), რაც გულისხმობს შეხვედრებისა და გაცვლა-გამოცვლის ხელშეწყობას საერთო ინტერესის ყველა სფეროში. ამისათვის საჭიროა სათანადოდ მოსმენა და ურთიერთობა, ერთად ყოფნისა და მუშაობის სურვილი, შემოქმედებითი და კონსტრუქციული მიდგომა საერთო საქმის სამსახურში და, გარკვეულწილად... თავმდაბლობაც. მართლაც, მე ვერ ვასწავლი ქართველებს, თუ რა უნდა ერჩიოთ - შემიძლია მხოლოდ ვუსურვო გულწრფელი და ნაყოფიერი დიალოგი და ეროვნული ერთიანობა, რათა ხელი შეეწყოს გაჭირვებულ ადამიანებს და უზრუნველყოფილ იქნას ჯანსაღი სოციალური წინსვლა.

მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის ომი, რომელსაც დასასრული არ უჩანს. კათოლიკე ეკლესია, პაპის გზავნილების, ინიციატივებისა თუ წარმომადგენლების მეშვეობით ცდილობს, ერთმანეთს შეახვედროს და მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას დაპირისპირებული მხარეები. ზოგიერთები ეკლესიების, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელი ეკლესიის მარცხზეც საუბრობენ. თქვენ როგორ ხედავთ ეკლესიებსა და საქართველოში შექმნილ ვითარებას ამ ომის ფონზე?

პაპი ფრანცისკე დაუღლელად მოუწოდებს ომის შეწყვეტისაკენ, როგორც უკრაინაში, ასევე მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში. მან წმიდა საყდრის დიპლომატია სამშვიდობო დიალოგის სამსახურში ჩააყენა. ეკლესიას შეუძლია დიალოგისკენ მოუწოდოს მხარეებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თავად მხარეები უნდა დაელაპარაკონ ერთმანეთს. ამას კი ვერავინ ვერავის დააძალებს, თუკი მხარეებს თავად არ სურთ. კათოლიკე ეკლესია ერთადერთი ეკლესია თუ რელიგიაა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადობის მიერ აღიარებული საერთაშორისო სტატუსის მქონე დიპლომატიური კორპუსი ჰყავს (1961 წლის ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, მუხლი 14) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. წმიდა საყდრის დიპლომატია არის super partes (მიუკერძოებელი), არა აქვს ეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური ინტერესები. შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ ბუნებრივი კატასტროფების დროს პაპის სიტყვები მეტად მნიშვნელოვანია. საკმარისია, გავიხსენოთ უზენაესი პონტიფექსის მიმართვა შოვში 3 აგვისტოს დატრიალებული სტიქიური უბედურების შემდეგ. უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა ლისაბონში, ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 1,5 მილიონი ახალგაზრდისა და ასობით ჟურნალისტის წინაშე პაპის მიერ წარმოთქმულმა სამძიმრისა და დაზარალებულებისადმი თანადგომის სიტყვებმა. რომელი სხვა სახელმწიფოსა თუ ეკლესიის მეთაურს ძალუძს გაჟღერება ამგვარი საყოველთაო გზავნილისა, რომელიც საქართველოს ტკივილს მთელი მსოფლიოს ტკივილად აქცევს? ეკლესიის მოწოდება ხომ სწორედ ისაა, რომ ურთიერთშეხვედრისა და სოლიდარობის, დიალოგისა და მშვიდობის ადგილად იქცეს. ვფიქრობ, კათოლიკე ეკლესია ცხადად ადასტურებს, რომ ჭეშმარიტად ქრისტეს ეკლესიაა.

თქვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ თბილისის წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ეკლესიაში წმიდა წირვების აღვლენა საქართველოში სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული და აქ სხვადასხვა მიზნით მყოფი კათოლიკეებისათვის. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

სიამოვნებით მივდიოდი ხოლმე წმიდა წირვის აღსავლენად თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში. ამ საერთაშორისო, საკვირაო ევქარისტიულ მსახურებას უამრავი ადამიანი ესწრებოდა - საქართველოში ხომ არაერთი ქვეყნიდან ჩამოსული კათოლიკე სწავლობს თუ მუშაობს. ბევრია უცხოელი პენსიონერიც. ეს ერთი, დიდი, ლამაზი და სიცოცხლით სავსე თემია. ხშირად მესმის მათი დადებითი კომენტარები. არცთუ იშვიათად, ეს საერთაშორისო თემი ღვთისმსახურების კიდევ უფრო გაფართოებას ითხოვდა. მე ყოველთვის შეგნებული მქონდა, რომ მთელი საქართველოს დესპანი ვიყავი და მსურდა, ეს ჩემი მისია პირნათლად შემესრულებინა.

რომელი ინიციატივების მიყვანა შეძელით ბოლომდე და რომლის ვერა?

ყველა ინიციატივა, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, ან რომლის შეთავაზებასაც ვცდილობდი, ფართო თვალთახედვის ნაწილი იყო და არა თვითმიზანი. მთავარი გახლდათ „engage“ (,,ჩართულობა“), ურთიერთშეხვედრა, ურთიერთგაცნობა, ჯგუფებსა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა. მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ ინიციატივის ორგანიზების პროცესი თვით ამ პროექტის განხორციელებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ცხადია, თბილისის წმ. სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის კონცერტი ვატიკანის სიქსტეს კაპელაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ყველა თვალსაზრისით და სამუდამოდ შემორჩება ისტორიას. ვატიკანის ჭერქვეშ ორი საათის მანძილზე ჟღერდა კეთილშობილი ქართველი ერის სიამაყე - ათასწლოვანი ტრადიციის მქონე დიდებული ქართული მრავალხმიანობა და ვილოცეთ „ავე მარია“ მსოფლიოში მშვიდობის მხარდასაჭერად. ამ ზეიმმა, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენა, თუ რა არაჩვეულებრივი წამოწყებების განხორციელება შეგვიძლია ერთობლივი ძალისხმევით და საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით.

რელიგიური, კათოლიკური და ეკუმენური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ფატიმის ღვთისმშობლის მომლოცველი ქანდაკების ისტორიული ვიზიტი. ქანდაკებამ, რომელიც პირველად ეწვია კავკასიას - საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, გადალახა საზღვრები და წინაღობები, ერთად შეკრიბა კათოლიკენი, არაკათოლიკენი და მუსლიმებიც კი. კიდევ ერთხელ ვიხილეთ მაგალითი ცოცხალი კათოლიკე ეკლესიისა.

ესაუბრა მამა გაბრიელე ბრაგანტინი

გაგრძელება იქნება

მაიკლ ტალბოტი: ქადაგება სიმღერით



გზა, რომლითაც უფალმა ატარა ჯონ მაიკლი მთელი ცხოვრების განმავლობაში, იყო მისი ერთგვარი მომზადება ტაძარში მისასვლელად. მან უპასუხა ღვთის მოწოდებას და ღმერთმა გამოიყენა იგი თავის იარაღად, რათა მას ნუგეში ეცა ადამიანთათვის თავისი უნიკალური და მრავალმხრივი მსახურების მეშვეობით.

ამერიკელი კათოლიკე მუსიკოსი და მომღერალი ჯონ მაიკლ ტალბოტი (John Michael Talbot) დაიბადა 1954 წლის 8 მაისს, ოკლაჰომას შტატის დედაქალაქ ოკლაჰომა-სიტიში, მეთოდისტების ოჯახში. ეკლესიაში, სადაც მისი მშობლები დადიოდნენ, ძალიან პოპულარული იყო მუსიკის თანხლებით მსახურება, რომელშიც ტალბოტების ოჯახიც მონაწილეობდა. ჯონიმ ადრევე ისწავლა გიტარაზე დაკვრა და თხუთმეტი წლის ასაკში საყვარელმა ინსტრუმენტმა მას უკვე საკმაოდ სოლიდური შემოსავალი მოუტანა. მაიკლმა მიატოვა სკოლა და გახდა გიტარისტი როკ-ჯგუფისა - Mason Proffit, რომელიც ჩამოაყალიბა მისმა უფროსმა ძმამ, ტერიმ. მრავალრიცხოვანი ტურნესა და რამდენიმე ალბომის გამოშვების შემდეგ ჯგუფი დაიშალა და ტალბოტი სულიერი გზის ძიებას შეუდგა...

ყველაფერი დაიწყო ხილვით. „ღმერთმა მომცა ხილვა მოხეტიალე მსახურების შესახებ საკრებულოდან საკრებულოში... მე მას ვკითხე, რა უნდა გამეკეთებინა და მან მიპასუხა: „გამოიყენე შენი მუსიკა და მე გაგიხსნი გზას“. მჯერა, რომ ჩვენი დღევანდელი მსახურება ამ ხილვას განახორციელებს. ღმერთი გვაძლევს ახალ სიცოცხლეს ქრისტეში, თუ ამას მივიღებთ“, - აღნიშნავს იგი. ტალბოტი ამ მოწოდების ერთგული დარჩა. რწმენის გამოსახატავად მან დაიწყო თავისი მუსიკალური ნიჭის გამოყენება ახლად შექმნილ სცენაზე. როგორც Sparrow Records-ის დამფუძნებელმა არტისტმა, გამოუშვა ორი ალბომი: ,,John Michael Talbot“ და ,,The New Earth“.

ჯონ ტალბოტის სულიერი მოგზაურობა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს, ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის შესწავლის შემდეგ, მან აღმოაჩინა, რომ კათოლიციზმი მის გულთან ყველაზე ახლოს იყო. ,,ეს არ იყო უბრალოდ რაღაც ბუნდოვანი სურვილი, - იხსენებს იგი, - მე დავინახე ცხოვრება ქრისტეში, ჰარმონიულობასა და სიმშვიდეში“. წმიდა ფრანცისკე ასიზელის ცხოვრებით შთაგონებულმა სწავლა დაიწყო ინდიანაპოლისის ფრანცისკელთა ცენტრში, სადაც 1978 წელს კათოლიკობა მიიღო და გახდა ფრანცისკელთა მესამე ორდენის წევრი, ტერციარი (Terziari/ Terzo Ordine - საეროთა მესამე ორდენი). მაიკლი ესწრებოდა ლექციებს, რომელიც ეძღვნებოდა ფრანცისკელთა

სულიერებას, ეკლესიის ისტორიასა და პატრისტიკას. სწორედ ამ დროს, მან დააარსა სამლოცველო სახლი, სახელწოდებით ,,მცირე ნაწილი" (The Little Portion), სადაც განსაკუთრებული ატმოსფერო იყო შექმნილი განმარტოებული ლოცვისთვის. შემდგომ კი ეს სახლი გადაიტანა არკანზასის შტატში, როკ-ჯგუფის შემოსავლით შეძენილ მიწაზე. აქ მან დააფუძნა საკუთარი საზოგადოება ,,გულმოწყალების ძმები და დები", რომლის ყველა წევრი ცხოვრობს ტერციართა ორდენის წესდების მიხედვით. მიუხედავად იმისა, დადებენ თუ არა უბიწოების აღთქმას, ისინი მაინც რჩებიან საზოგადოების სახლში, ან ცხოვრობენ ოჯახებთან ერთად ერში. 1989 წელს ჯონ ტალბოტი დაქორწინდა კათოლიკე ეკლესიის ნებართვით.

1992 წელს, ,,Sparrow"-თან წარმატებული კარიერის შემდეგ, ჯონ მაიკლმა დააარსა საკუთარი ლეიბლი, სახელწოდებით ,,Troubadour for Lord". და ბერმონაზვნური ცხოვრების პირადი გამოცდილების საფუძველზე, შეუდგა წიგნების წერასაც. 2020 წელს, უკვე ოცდაათზე მეტი წიგნის ავტორმა, გამოსცა წიგნი ,,უდაბნოს მშვენიერება და საფრთხეები".

ჯონი აქტიურ მსახურებას ეწევა როგორც არკანზასის სამლოცველო სახლში, ისე ჰიუსტონის წმიდა კლარას მონასტერში, სადაც მან დააარსა საკუთარი საზოგადოება ,,გულმოწყალების ძმები და დები". ჰუმანიტარული მოღვაწეობისთვის მას მიენიჭა დედა ტერეზას პრემია.

2008 წელს ჯონ მაიკლის სამლოცველო სახლში გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც განადგურდა ბიბლიოთეკა და შენობის გარკვეული ნაწილი. ჯონიმ დაიწყო მოხეტიალე მსახურება საკრებულოდან საკრებულოში, რათა შეეგროვებინა ფული თავისი სამლოცველო სახლის აღსადგენად. ცხადი გახდა, რომ ღმერთი მის მსახურებას იყენებდა არა მხ-

დღეს ტალბოტი აღიარებულია კათოლიკური მუსიკის ყველაზე პოპულარულ შემსრულებლად; მთელ მსოფლიოში გაყიდულია მისი ალბომის 4 მილიონზე მეტი ეგზემპლარი. ჯონ ტალბოტის, როგორც კათოლიკე შემსრულებლის, სიმღერებმა დიდი აღიარება მოიპოვა პროტესტანტ მსმენელთა შორისაც. უდიდესი პოპულარობის გამო, მაიკლმა მიიღო რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო: იგი, პროდიუსერთან და დიდი ხნის მეგობარ ფილ პერკინსთან ერთად, დაჯილდოვდა პრემიით - Dove Award წლის საუკეთესო ალბომისთვის ,,Light Eternal"; ასევე, მიიღო პრეზიდენტის პრემია იმ დამსახურებისთვის, რაც მიუძღვოდა ხმისჩაწერის ხელოვნებისა და მეცნიერების ეროვნული აკადემიის წინაშე. 1988 წელს ჟურნალმა Billboard-მა იგი დაასახელა ნომერ პირველ ქრისტიან არტისტად.

ჯონ მაიკლი, თავისი მრავალმხრივი ცოდნისა ოლოდ სამლოცველოს აღდგენისთვის, არამედ თავდაპირველი ხილვის აღსასრულებლადაც. 2010 წლის აპრილში ლიტლ-როკის (ინგლ. Little Rock - არკანზასის შტატის დედაქალაქი) ეპისკოპოსმა ენტონი ტეილორმა აკურთხა სამლოცველო სახლის ახალი შენობა.

2014-2017 წლებში გადიოდა ჯონ მაიკლის ფართოდ ცნობილი, შთამაგონებელი სატელევიზიო შოუ - ,,ყველაფერი შესაძლებელია" (Anything Is Possible).

2020 წელს მაიკლმა გადაწყვიტა, აეღო მცირე შემოქმედებითი შვებულება, რათა ყურადღება გაემახვილებინა განცალკევებულ ბერმონაზვნურ ცხოვრებაზე, თავის საკრებულოსა და ახალ „სულიერების სკოლის შიდა ოთახზე". ტალბოტი აღნიშნავს: „ძველი ჯონ მაიკლი მოკვდა და იშვა ახალი!"

კამილიელთა სამედიცინო ცენტრის ახალი პროექტი

კამილიელთა სარეაბილიტაციო ცენტრში დაიწყო პოლონეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება, რომლის მიზანი სპეციალისტების კომპეტენციის ამაღლება, მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და რეაბილიტაციის სფეროს განვითარებაა.

პროექტის დასრულების შემდეგ კამილიელთა სარეაბილიტაციო ცენტრში შეიქმნება საგანმანათლებლო/სასწავლო ცენტრი.

აღნიშნული პროექტი გრძელდება ორი წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში სპეციალისტები გადამზადდებიან შემდეგ მიმართულებებში: ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია, ფსიქოლოგია.

18 სექტემბერს დაიწყო სატრენინგო კურსის პირველი ეტაპი ფიზიკური თერაპევტებისთვის - IBITA BOBATH. ტრენინგს, რომელსაც ატარებს საერთაშორისო ინსტრუქტორი ანა ქისი - Anna Fehérné Kiss PT, PhD Basic Course instructor, ესწრებიან ცენტრის ექიმები და ფიზიკური თერაპევტები. მასში ჩართული არიან კამილიელთა სარეაბილიტაციო ცენტრის ახალციხისა და თბილისის ფილიალის გუნდის წევრები.

პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენი სპეციალისტები მიიღებენ ევროსტანდარტების შესაბამის სერტიფიკატს.

ნეტარი ოჯახი: სიყვარული, რომელიც სიცოცხლეს წარმოშობს

ეს ერთი უბრალო ოჯახის ისტორიაა, იოსებ და ვიქტორია ულმებისა და მათი შვიდი შვილის, რომელთაგან ერთი მუცლად მყოფი იყო, ჯერარშობილი. ისინი ნაცისტებმა პოლონეთის სოფელ მარკოვაში, უკრაინის საზღვართან ახლოს, ჩაცხრილეს იმ მიზეზით, რომ წელიწადნახევარზე მეტხანს მალავდნენ რვა ებრაელს საკუთარ სახლში. მათ ცხოვრება მოუწიათ ისტორიის იმ ავბედით პერიოდში, როდესაც სიძულვილის იდეოლოგია იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ნორმალურად და ლეგიტიმურად მიიჩნეოდა. ამ იდეოლოგიის გავლენით არჩევანს აკეთებდა უამრავი ადამიანი, რამაც ისინი საზარელ ბოროტებამდე მიიყვანა და მილიონობით მშვიდობიან ადამიანს ტანჯვა და სიკვდილი მოუტანა.

2023 წლის 10 სექტემბერს კათოლიკე ეკლესიამ ულმების ოჯახი ნეტარად შერაცხა.

სიყვარულისა და სიწმინდის ამ დიდ ისტორიას სათავე დაედო მე-20 საუკუნის დასაწყისში. ცოლქმარი ვიქტორია და იოსები ღრმადმორწმუნე ოჯახებში აღიზარდნენ, რწმენისა და სიყვარულის გარემოცვაში. 1935 წელს ისინი დაქორწინდნენ. ცხრაწლიან ქორწინებაში მათ შეეძინათ ექვსი შვილი, რომლებსაც „ზრდიდნენ სიბრძნით, რწმენისა და სიყვარულის სულით, ყოველდღიური ერთგულებით ორი უდიდესი მცნების მიმართ: სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი“ (როგორც აღნიშნავს პოსტულატორი დონ ვიტოლდ ბურდა). რწმენა იყო მათ ოჯახში ყველაზე მთავარი. ისინი ესწრებოდნენ ყოველკვირეულ წირვას და ყოველდღე ლოცულობდნენ სახლში შვილებთან ერთად. მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქველმოქმედება, რომ საკუთარ სახლში მიიღეს ნაცისტების მიერ დევნილი რვა ებრაელი. 1944 წლის გაზაფხულზე ვიქტორია მეშვიდე შვილს ელოდებოდა, მშობიარობის ვადა გადაცილებულიც კი იყო, როდესაც 24 მარტს, გამთენიისას, მთელი ოჯახი ჩაცხრილეს, რადგანაც მათ, ნაცისტების აკრძალვის მიუხედავად, ებრაელები შეიფარეს. ეს იყო მოწამეობა სიყვარულის გამო, დედის მუცლად მყოფისთვის კი - სისხლით ნათლობა, რის გამოც შეიძლება ისიც მივიჩნიოთ ქრისტეს მოწამედ. ერთიანად გვნუსხავს, როცა საშვილოსნოში მზარდი სიცოცხლის ღირსებაზე დავფიქრდებით. „დახვრეტიდან პირველივე წუთებში აღიარა ხალხმა ღვთის მონათა სიკვდილი მოწამეობად“. ადამიანები, რომლებიც ამ ტრაგიკულ ამბავს ყვებოდნენ, მათზე ,,დიდი მოწიწებითა და პატივისცემით“ საუბრობდნენ, სწრაფად გავრცელდა მათი დიდება. ,,რამდენიმე წლის წინ, იოსების მეგობარი ავად გახდა და ულმას საფლავთან მისულმა მათ შუამავლობა სთხოვა, რომ გამოჯანმრთელებულიყო“. თხოვნა მალევე იქცა წყალობად.

მას შემდეგ ულმების ოჯახის ისტორია და მათდმი მოწიწება გავრცელდა არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. 2016 წელს მარკოვაში გაიხსნა მუზეუმი, რომელიც ეძღვნებოდა იმ პოლონელებს, მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელები სიკვდილს რომ გადაარჩინეს. „მუზეუმს ულმების სახელი ეწოდა და პირველ სამ წელიწადში იგი დაახლოებით ორმოცდაათი ათასმა ადამიანმა მოინახულა“, გარდა ამისა, ყოველწლიურად მრავალი მომლოცველი მიემართება მათი საფლავის მოსანახულებლად და პატივის მისაგებად, რადგან მათთვის ისინი წარმოადგენენ მაგალითს „მოსიყვარულე მეუღლეთა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება რწმენის მყარ საფუძველზე ააგეს“.

ულმების ოჯახის მოწამეობა შეგვახსენებს, რომ ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ რწმენა არაა საკმარისი, საჭიროა სულიერი მზადყოფნა, რათა შეგვეძლოს სიყვარულისთვის თავგანწირვა.

მარციპანის ტრადიციული დესერტი ყველა წმიდანის დღისათვის

Huesos de Santo

Huesos de Santo (,,წმიდანთა ძვლები“) - დესერტი სულის გამყინავი სახელწოდებით. ეს არის ტკბილეულის ტრადიციული რეცეპტი ყველა წმიდანის დღისათვის (1 ნოემბერი). ნამცხვარს მარციპანის, მოხარშული კრემისა და მინანქრისაგან ამზადებდნენ ესპანელები დაახლოებით XVII საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა მარციპანი ნახევარკუნძულზე არაბებმა შემოიტანეს. ამ დესერტის პირველი რეცეპტი ნახსენებია ფრანსისკო მარტინეს მონტინოს წიგნში, 1623 წელს. ნამცხვარი ადვილად მზადდება და დღესასწაულზე აუცილებლად უნდა იყოს ყველა ესპანური ოჯახის სუფრაზე. მარციპანი ძალიან ჰგავს თეთრ ძვალს, ხოლო ტკბილი, მოხარშული კრემის შიგთავსი - ძვლის ტვინს. ტკბილეული განსაკუთრებით ოჯახის ყველაზე პატარა წევრებს მოსწონთ.

დესერტი მზადდება ნუშის, შაქრისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, კარტოფილის გამოყენებით. ამ ინგრედიენტებისაგან მომზადებულ ცომს გააბრტყელებენ, ჭრიან კვადრატებად და ახვევენ ჯოხზე მილისებრი ფორმის მისაცემად, სიგრძით 5-6 სმ. მათ რთავენ შაქრის მინანქრით და სხვადასხვაგვარი საღებავით. ტკბილეულს, უმეტესად, ხელით ამზადებენ. მიუხედავად იმისა, რომ შიგთავსი, ტრადიციულად, მზადდება კვერცხის გულის კრემისაგან, დღეს სატენად ასევე იყენებენ ჯემს, შოკოლადს, პრალინს (ფრ. Praliné - კარამელში შემწვარი დაფქული თხილი და შაქარი) ან იოგურტს.

ინგრედიენტები:
150 გრ. ნუში
200 გრ. შაქარი
4 ცალი კვერცხი
შაქრის მინანქარი

მომზადება:
ჩაასხით ქვაბში 45 მლ. წყალი, დაუმატეთ 90 გრ. შაქარი და აადუღეთ. დაფხვენით ნუში, შეურიეთ შაქრის ცხელი სიროფი და მოზილეთ ცომი. როცა ცომი გაცივდება, გააბრტყელეთ თხელ ფენად, ფქვილის ნაცვლად შაქრის მინანქარი გამოიყენეთ, რათა ცომი ხელებზე არ მიგეკრათ. კოვზის ტარით გაავლეთ ცომზე პარალელური ზოლები. ფენა დაჭერით ოთხკუთხედებად 5 სმ ხ 7 სმ, თითოეული ნაჭერი დაფარეთ შაქრის მინანქრით და დაახვიეთ მილისებურად.

მოამზადეთ კრემი შიგთავსისთვის: ქვაბში ჩაასხით 50 მლ. წყალი და ჩაყარეთ 100 გრ. შაქარი, აურიეთ და აადუღეთ. გააცალკევეთ კვერცხის ცილა და გული ერთმანეთისგან. გულები ათქვიფეთ და მიღებული მასა თანდათან დაუმატეთ შაქრის ცხელ სიროფს, განუწყვეტლივ ურიეთ. შემდეგ მოათავსეთ ორთქლზე და დროდადრო მოურიეთ, სანამ მასა მთლიანად არ შესქელდება. საკონდიტრო ტომრის გამოყენებით მარციპანის მილისებრი ფორმის ნამცხვარი ამოავსეთ კვერცხის კრემით. ცალკე ქვაბში ჩაასხით 30 მლ. თბილი წყალი და ჩაყარეთ 100 გრ. შაქრის მინანქარი, ურიეთ მანამ, სანამ შაქარი მთლიანად არ გადნება. თითოეული მილისებრი ნაჭერი ამოავლეთ მინანქარში და გააშრეთ.

რაბათში არსებულ კათოლიკური ტაძრის ისტორიას წიგნი მიეძღვნა



(იბეჭდება შემოკლებით, ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე - ,,catholc. ge“)

ახალციხეში, რაბათის დასახლებაში არსებულ XIII საუკუნის კათოლიკური ტაძრის შესახებ დაიბეჭდა წიგნი, რომლის ავტორია ისტორიკოსი ნატო ყრუაშვილი. ნაშრომის პრეზენტაცია 2023 წლის 7 ოქტომბერს, ამავე ტაძარში სადღესასწაულო წირვისას შედგა. წიგნში თავმოყრილი მასალების შესახებ თავად ავტორმა ისაუბრა.

„წმიდა ჯვრის - წმიდა სავარდის კათოლიკური ეკლესია ქალაქ ახალციხეში“, - ასე ეწოდება წიგნს, რომელიც კათოლიკური ტაძრის წარსულსა და თანამედროვეობას აღწერს. ნაშრომი 2022 წელს დაიბეჭდა და არა მხოლოდ ეკლესიის ისტორიას, არამედ აქ მოღვაწე სასულიერო პირებსაც აცნობს მკითხველს. ტაძარს, რომლის შესახებაც წიგნშია საუბარი, დღეს საზოგადოება „სავარდის ღვთისმშობლის“ სახელით იცნობს. ქართველი მკვლევრის, ზაქარია ჭიჭინაძის აზრით კი, იგი XIII საუკუნეში უნდა იყოს აშენებული „წმიდა ჯვრის“ სახელზე. ტაძარი მნიშვნელოვან საკულტო ძეგლს წარმოადგენდა ქართველი კათოლიკეებისათვის. აქ არაერთი ქართველი კათოლიკე მღვდელი, ასევე მისიონერი მოღვაწეობდა. „თუმცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა პერიოდში აიკრძალა ღვთისმსახურება, განურჩევლად აღმსარებლობისა, დიდი ხნის განმავლობაში სალოცავები გამოიყენებოდა საწყობებად. ყოველივე ამან დააჩქარა მათი, როგორც ძეგლების, დანგრევა და ფიზიკური განადგურება. გამონაკლისს არც ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესია წარმოადგენდა“. სახურავჩაქცეული, კედლებმონგრეული ეკლესია 2012 წელს აღდგა და ეკურთხა. ავტორმა აღნიშნა, რომ წიგნის დაწერისთვის „ბიძგი“ კათოლიკე მღვდელმა პიერ დიუმულენმა და თეოლოგმა ვაჟა ვარდიძემ მისცეს.

წიგნი პირობითად ორ ნაწილად იყოფა: პირველი მოიცავს ეკლესიის შესახებ ისტორიას და იწყება ახალციხისა და მესხეთის მიმოხილვით, მეორე ნაწილში კი მოცემულია სხვადასხვა კათოლიკე სასულიერო პირის სტატიები კონკრეტულად „სავარდის“, იგივე „წმიდა ჯვრის“, ტაძრის შესახებ. ავტორმა ყურადღება გაამახვილა ტაძრის სახელწოდებაზეც და განმარტა, რატომ უწოდა წიგნს „წმიდა ჯვრის - წმიდა სავარდის კათოლიკური ეკლესია ქალაქ ახალციხეში“: „ამ ეკლესიის ისტორიული სახელწოდება „წმიდა ჯვრის ეკლესიაა“. თუმცა ახალციხეში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი იყო წმიდა სავარდის ეკლესია, რომელიც ამჟამად დანგრეულია. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა წმ. სავარდის სახელობის კათოლიკური სამლოცველო, ამიტომ ამ სახელწოდების, ამ შინაარსის აქტიურობის გამო გადაწყდა, რომ არ დაკარგულიყო ეს სახელი და ამ ეკლესიასაც დარქმეოდა წმიდა სავარდის ტაძარი“. შემდეგ მან მადლიერება გამოთქვა კათოლიკე ეკლესიის მიმართ წიგნის „დღის სინათლეზე“ გამოტანისათვის: „უსაზღვრო მადლიერება მინდა გამოვთქვა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მამა აკაკი ჭელიძის, მამა გაბრიელე ბრაგანტინის, მამა ზურაბ კაკაჩიშვილისა და ყველას მიმართ. რომ არა ისინი, ეს წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა მათი მხარში დგომა და დახმარება, მკითხველი ვერ მიიღებდა ამ წიგნს“.

წიგნი არა მხოლოდ ისტორიულ მასალებს, არამედ ბევრ ისტორიული ფოტოსაც მოიცავს: „რაზეც კი ხელი მიმიწვდა, სასულიერო პირებისა თუ ისტორიული ფაქტების ამსახველ ფოტოებზე, რაც ეკლესიას შეეხებოდა, შევეცადე, რომ წიგნში განმეთავსებინა, რადგან ზოგჯერ ფოტო სიტყვაზე მეტად მეტყველებს და წიგნს უფრო მეტ შინაარსს სძენს“, - აღნიშნა ავტორმა.

კათოლიკე მღვდელმა მესხურ სარიტუალო ტრადიციებზე დისერტაცია დაიცვა

4 ოქტომბერს პოლონელმა მისიონერმა საქართველოში, მამა დარიუშ კომადოვსკიმ, კარდინალ სტეფან ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. მისი თემა იმით იყო განსაკუთრებული, რომ შეეხებოდა მესხეთში არსებულ ტრადიციებს - ქორწინების, დაბადებისა და დაკრძალვის შესახებ.

მამა დარიუშ კომადოვსკის, რომელსაც საქართველოში მსახურების თითქმის შვიდწლიანი გამოცდილება აქვს, ამიერიდან ღვთისმსახურების დოქტორის სტატუსი ექნება. მან სადისერტაციო თემად ქართული ტრადიციები აირჩია და 400 გვერდიანი ნაშრომი პოლონურ ენაზე დაწერა. ამბობს, რომ სადისერტაციო თემა მესხურ სარიტუალო ტრადიციებზე შეაჩერა, რადგანაც საქართველოში მისი პირველი სამრევლო სწორედ მესხეთის სოფელ არალში იყო და მესხებისგან ბევრი საინტერესო ტრადიციის შესახებ შეიტყო: „წლების განმავლობაში ვცხოვრობდი მესხეთში და ვეცნობოდი ყველა ტრადიციას, რომელიც ეხებოდა დაბადებას, ქორწინებასა თუ დაკრძალვას. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, დამეწერა ამის შესახებ“.

მღვდელმსახურმა სადისერტაციო თემაზე აქტიური მუშაობა 2021 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველოში მისიით უკვე მეორედ ჩამოვიდა. ამბობს, რომ თავდაპირველად მასალების შეგროვება მარტივი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო ძველი მესხური ტრადიციების შესახებ მრავალი წიგნისა და ჩანაწერის ნახვა, რაც თბილისსა და რეგიონებში არსებულ სხვადასხვა ბიბლიოთეკაში ძებნას, შეგროვებას, დამუშავებას, თარგმნას და შემდეგ წერას ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ მან თემის დამუშავებას ბოლო ორი წელი მოანდომა.

ნაშრომის სრული სახელწოდება ასეთია: „გადასვლის ქართული რიტუალების ინკულტურაცია მესხეთის რეგიონში - მისიოლოგიური სწავლება“. ავტორი აღნიშნავს, რომ სიტყვაში „გადასვლის“ იგულისხმება ადამიანის ანთროპოლოგიური მდგომარეობა, ანუ ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადასვლა. თემას პოლონელი პროფესორი იაროსლავ რუჟანსკი ხელმძღვანელობდა. იმისათვის, რომ დოქტორის სტატუსი მიეღო, გარდა სადისერტაციო თემისა, მამა დარიუშმა პოლონეთში სამი გამოცდაც ჩააბარა: მთავარი საგანი - მისიოლოგია; არჩევითი საგანი (სხვა ფაკულტეტიდან) - ფსიქოლოგია და უცხო ენა - რუსული.

4 ოქტომბერს, მამა დარიუშ კომადოვსკის სადისერტაციო თემის დაცვაზე, მის მხარდასაჭერად პოლონეთში იმყოფებოდა თბილისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, რომელიც არალში მამა დარიუშის ვიკარიუსად ყოფნის პერიოდში (2014-2019 წწ.) სამრევლოს წინამძღვარი იყო.

ამიერიდან 40 წლის მამა დარიუშ კომადოვსკის სამეცნიერო სტატუსი ღვთისმსახურების დოქტორი იქნება, მას შეუძლია რელიგიურ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორად მუშაობა.

თაკო ფეიქრიშვილი

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

ლია მაისურაძე-წალსაძე
* 02. 03. 1960, უდე
† 23. 09. 2023, ახალციხე

ნორა ხითარიშვილი
* 18. 06. 1941, ახალშენი
† 29. 09. 2023, ახალშენი



თამარ გიქოშვილი
* 22. 05. 1940, ივლიტა
† 02. 10. 2023, ივლიტა

ოლია ხაზალაშვილი-ლეკიშვილი
* 25. 04. 1936, ხიზაბავრა
† 28. 09. 2023, ხიზაბავრა

ოლღა ქვარიანი
* 03. 12. 1943, სოხუმი
† 07. 10. 2023, თბილისი

ემა შახბაზოვი
* 23. 04. 1952, უკრაინა, ქ. ბარშავი
† 07. 10. 2023, ფონიქალა

დიდი მადლობა!

საქართველოს კათოლიკეთა
ორთოდოქსული მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS
საredaქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, გურგენ ნოზაძე, შორენა ბარუნაშვილი, მერაბ ღლონტი, ციცინო ხალარაშვილი
ტექნიკური მხარდამჭერი: მღვდ. მიხეილ სურმავა, თამარ ხუციშვილი
მისამართი: ჟურნალ „საბას" redaqcia, გია ანჯაფარიძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.jurnal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსება მანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა"